კვირა, 6 ივლისი 1914 წ. ფასი 5 კაპ.

# მათრახი

№ 24 იუმორისტ. ჟურნალი

„მათრახი“ გამოდის კვირაში ერთხელ. წლიურად წლის გაგზავნით 2—50. ნახევარი წლით 1—50. წერილები და ფული გამოიგზავნება შემდეგ ადრესზე: Тифлисъ, Типография „Шрома“, Теофилу Болквадзе.

იმ ადგილებში, სადაც ჩვენი ჟურნალი არ მიდის, მსურველთ გაეგზავნება გასასყიდათ ფოსტით რამდენსაც მოითხოვს. თითო ცალი დაეთმობა 3½ კაპეიკათ. ფულის გამოგზავნა წინ და წინ არის საჭირო.



იზბაშ-ლოლუას და მათი ამქრების თათბირი ქ. ფოთში.

ნიკოზურგისა ქალაქში
შესდგა ბაყაყთა კრებულნი,
ცუდი საქმისა განზრახვით
ზეგარდმო მირონ ცხებულნი.
პროვოკაციის მომწყობნი,
ყველგან ცნობილნი, ქებულნი,
მაგრამ ამ ჟამად საწყლები
სასირცხვოდ დამარცხებულნი.

სასტიკ პროტესტსა უცხადებს
მშრომელნი, მათგან ვნებულნი,
მსმენელნი ამა ამბისა
რჩებიან გაოცებულნი!
და ეს ჭაობის გმირები,
მძორითა გასუქებულნი,
თავისთვის ბჭობენ, ლაყბობენ,
ძალზედა პირ-დაღებულნი.

მათრახოსანი.

## რედაქციისაგან.

ბევრი საყვედურები შეგვხვდა ჩვენი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეებისაგან, რომ მათი სურათები და ბიოგრაფია ვერ მოვათავსეთ ჯერ-ჯერობით ჩვენს ჟურნალში. მათ საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ შემდეგ ნომრიდან ჩვენ განვაგრძობთ პოეტების სურათების ბეჭდვას, შემდეგ წავა ბელეტრისტები, შემდეგ დრამატურგები, მას შემდეგ მსახიობნი და ბოლოს ყველა მოღვაწეები. ვისაც თავის სურათი აქვს ვთხოვთ დროით მოგვაწოდონ.

„მათრახის“ რედაქცია.

## სატრფოს.

ტურფავ, ტურფავ, ნუ გამირბი,
ნუ მიყურებ ასე მტრულად;
მომეც ხელი, მომენდევი,
გამიღიმე მეგობრულად.
გახსოვს აღთქმა, სიტყვა წრფელი,
ფიცი წმინდა — დადებული?
მე კვლავ ის ვარ, ქედ უხრელი
და შენთვის სცემს მარად გული.
ნუ თუ მისთვის მებუტები,
რომ ამდენ ხანს ვერა გნახე,
ნუთუ მისთვის, ნაზ-ნარნარო,
ჩემზედ ცუდი განიზრახე!!.
რა ვქნა, ბედმა უკუღმართმა,
გზა შავ ბნელით მომიფინა,
დავრჩი წყვდიად-უკუნეთში
ვერ მოვაგენ შენი ბინა.
აჰა, მოვ[illegible] შენს [illegible]მიფოს,
ეს არის დრო მ[illegible]ვიმ[illegible]ვე,
დროთა ბრუნვამ ბრძო[illegible]ის ველი
მე მარგუნა, გავიმარჯვე!
მომეც ხელი, მომეხვიე,
გეაჯები არ გამწირო,
აღთქმა მოგე, ფიცს არ გავტეხ
მზათ ვარ თავი შემოგწირო!

გოგია.

თფილისის მათრახები

### თამამშევის ქარვასლიდან.

ქარვასლა გადააკეთეს
შეღებეს ათას-ფერათა,
ნოქრებს კი ისევ ყვლეფავენ,
როგორც რომ იყო ძველათა.
ვინღა დაგიდევს ნოქრისთვის
კაცურად მოპყრობასაო,
მათთვის აღები იმეტებს
ლანძღვას და გინებასაო.
ნოქრებსაც პირი შეუკრავთ
და არ იღებენ ხმასაო,
ბევრმა მათგანმა უმატა
ქეიფს და ღვინის სმასაო.
ორი და სამი რას იზამს
თუ არ მიემხრო სხვებიო?
სულ ყველას ტყავს გააძრობენ
როგორც რომ ბატკანს მგლებიო.
რაცა ჰსურთ იმას შვრებიან
ქარვასლის წურბელებიო,
დრო ნახეს დავლურს უვლიან
მგლის ხროვა სულელებიო.

ზენათობა.

### რკ. გზის მთავარ სახელოსნოდან.

მათრახო! თუმცა გემდური,
მაინც შენსკენ გვაქვს გულია,
სახელოსნოში მოხელით
ლამის ამოგვძრეს სულია.
მერვეა განყოფილება
„ვაგონნათ“ წოდებულია,
იქ არის ზოგი მუჩები
სიბნელის მოყვარულია.
ლადიმერ კერესელიძე,
თევზაძე, ქვრივიშვილია
ამხანაგების ჩაგვრაში
მათაც დაიდეს წილია.
მათ ჰგონიათ, დღეს სიმართლე
ჯაჭვით იყოს შებორკილი,
თავისუფლათ ნავარდობენ,
არც შიში აქვთ, არც სირცხვილი!
დაავიწყდათ ყველა კარგი,
აღარ ახსოვთ ცხრაას ხუთი,
გაღმოიხედევი, შორს არ ვართ
სულ არ გინდა ერთი წუთი.
დახედე საბრალოები
ჯერ შენგნით უნახავია,
თავის ქალაზედ გადაჰკარ,
ზურგზედ ააძვრე ტყავია.

ვდევნი.

## საოცარი ამბავი.

გუშინ თფილისში დიდი საცოდაობა დატრიალდა. ვიღაც სომხის ბიჭები ქუჩაში ბადით მაწანწალა ძაღლებს იჭერდენ. მუხრანის ქუჩაზე „შრომის“ სტამბის „ფურგონში“ დაიჭირეს რამოდენიმე ძაღლი და მათ შორის მოაყოლეს (არ ვიცით განზრახ თუ მგზავსებით) „ლახტის“ („სანაგველას“) თანამშრომლები: „დემელია“, „პეტრუზა“ და ცნობილი „ასოთ-ამწყობი“ მუზმუზელა“. ესენი ფურგუნში ჩაყარეს და გაასეირნეს სხვა უბნებისაკენ. გზა-და-გზა ტუსაღები დიდ წინააღმდეგობას იჩენდნენ: ზოგნი კბილებითა და ზოგი ცხვირით ლამობდა ფურგუნის კედლების განგრევას, მაგრამ ამაოდ, ვერა გააწყეს რა. მებადურებმა როცა ფურგუნი ყელამდე გაამსეს, წაიღეს და მტკვრის პირას ერთ მყრალ ადგილას გააჩერეს, რომ განაჩენი სისრულეში მოიყვანონ და ტყავი გააძრონ ძაღლებს. თანამშრომლები ძაღლებთან ერთად ღრიალით იქაურობას იკლებენ და ემუქრებიან მათ ჯალათ სომხებს, მაგრამ ყურსაც არავინ იბერტყავს. საჭიროა დროზე დაეხმარონ მათმა თანამოაზრეებმა და იხსნან ეს საცოდავები განსაცდელისაგან.

მზვერავი.



## ორი ეშმაკი.

**პირ. ეშმაკი.** (მისუსტებული ძლივს ლაპარაკობს) რომ შემეძლოს გამარჯობის მაგიერ ერთს ლაზათიანად დაგზელდი, მაგრამ შენი ბედი რომ

სისუსტისაგან მკლავში ღონე აღარა მაქვს.

**მეორე ეშმაკი.** (გაჯავრებით) ჰეი, შენ ხომ არ შექანებულხარ? რას მერჩი ჩემო ძმავ, სიკეთის მეტი რა მიქნია შენთვის?

**პირველი.** იმაზე უარესს რაღას მიზამდი, შე ოხერო, რაც იმ კვირია მიყავი. ჯერ იყო და ჩვენმა მსახიობებმა სამარის კარამდე კინაღამ მიმიყვანეს და შენ კიდევ უარესი დღე დამაყენე.

**მეორე.** (გულიანად იცინის) მივხვდი, მივხვდი, შენ იმაზე ლაპარაკობ, იმ დღეს „პადვალში“ რომ გამიგიჟდი და ღვინით გატენილი რუმბები დახიე. რა ჩემი ბრალი იყო, ჩემო ძმავ, შენ თვითონ ყვიროდი ღვინო და ღვინოო და დავითვრებოდით მაშ რა იქნებოდა?

**პირველი.** ბიჭო, მე აზრათაც არ მქონდა ღვინის დალევა და შენ ძალათ ჩამათრიე „პადვალში“, როცა უკვე დავითვერი მერე აღარ მახსოვს რას ვშრვებოდი.

**მეორე.** (იცინის) მე მოგაგონებ. ჯერ ძალიან ინაზებოდი ღვინოზე და ნელ ნელა წრუპავდი, შემდეგ როცა გაგიტკბა პირდაპირ ბოთლებით დაიწყე სმა, „რეჩებით“ აქაურობა სულ დააქუხე, სიმღერას ნუღარ იკითხავ ისე სჭექდი, როგორც მთვრალი „გოროდოვოი“. ხუთი ბოთლის შემდეგ აზლუქუნდი, შენი მშვენიერი თვალებიდან ცრემლების ნიაღვარი გადმოსკდა. შემდეგ წამოდექი, ფეხი დაგიცდა და ცხვირი დიდ რუმბს დაჰკარი. ბიჭებმა წამოგაყენეს და იქვე ტახტზე დაგსვეს, ერთ ორჯერ დაამთქნარე, დაწექი და ხვრინვა ამოუშვი. სანამ შენ გამოიღვიძებდი მე „ლახტის“ საწყობში ვკარი თავი, მათი თანამშრომლები ვინახულე, ლაზათიანათ შევახურე მათრახით, ისევ აქ დავბრუნდი, ჩაგსვი ეტლში მძინარე და სახლში მიგიყვანე.

**პირველი.** (დიმილით) შეჩვენებული ვიყო თუ რამე გამეგოს. ერთი, თუ ხათრი გაქვს, მომიყე რაც ნახე.

**მეორე.** ამოვძვერი „პადვლიდან“ თუ არა იქვე „გოროდოვოი“ დავინახე და ვთხოვე ესწავლებია „ლახტის“ რედაქცია. ჩემს სიტყვაზე გოროდოვოიმ ულვაშებში ჩაიცინა და მუხრანის ქუჩისაკენ მიმიშვირა ხელი. მეც ჩავიცინე და შევედი ეზოში. ჩემს კითხვაზე „ლახტის“ რედაქტორი სად ბრძანდება მეთქი მეეზოვემ მუცელზე ხელი მოიჭირა დიდ-ხანს გულიანად ხარხარებდა. როცა სიცილით გული იჯერა ეზოს კუთხეში დიდი ყუთისაკენ მიმიშვირა ხელი. გაოცებისგან პირი დავაღე. მეეზოვე გიჟათ მივიღე. „რას მიყურებ? „ლახტის“ რედაქტორი დილიდან საღამომდე იმ სანაგვე ყუთში იქექება, ეხლა იქ ზის და თუ გინდა ნახეო“. ვიფიქრე მოდი ერთი ამ სულელს დაუჯერებ მეთქი და მივედი ყუთთან. ყუთში მართლაც ჩაქუქულიყო „ლახტის“ რედაქტორი, ოფლისაგან ლურჯი ხალათი სულ დასველებოდა, შუბლიდან ნიაღვარი ჩამოსდიოდა, გამწარებული ურევდა ხელს სანაგვეში ჩაყრილ ქაღალდებს და გაშმაგებული ათვალიერებდა წერილებს. სალამი მივეცი. ხმა არ გამცა. „ბატონო რედაქტორო! „ლახტში“ დასაბეჭდი წერილი მოვიტანე“. ამის გაგონებაზე ყუთიდან ამოხტა, ყელზე მომეხვია და გაშმაგებით დამიწყო კოცნა—„ა? წერილი, მიშველე შენი ჭირიმე, ლამის არის სული ამომძვრეს ამ სიმყრალეში ხელის რევით, მეტი აღარ შემიძლიან“. —„ერთი ღვთის გულისათვის ამიხსენი რას ნიშნავს თქვენი სიტყვები ან თქვენი ამ ნაგვის ყუთში ჩაძრომა და ამ სიბინძურის ქექვა?“.—„ეჰ. ჩემო ძმავ, ალბათ ხამი ხარ და არ იცი რა ძნელია ჟურნალ-გაზეთების გამოცემა მითხრეს გამოვცემთ ჟურნალსაო, ნება-რთვა აიღე და მასალები ჩვენი საქმე იყოსო, მეც დავუჯერე, ავიღე ნება-რთვა, პირველ ხანებში „სახალხოს“ რეკლამებით და ჩსენის გაიძვერობით გვარიანათ აუხვიეთ თვალები მკითხველებს და ვლებულობდით მასალებს, მაგრამ ეხლა კი ქვეყანამ გაიგო რაცა ვართ. მასალას რომ აღარ მიგზავნიან დილიდან საღამომდე ამ ყუთში ვზივარ. დილით სტამბიდან გამოდის „მათრახის“ რედაქტორი და მთელ ტომარა ქაღალდებს ყრის ამ ყუთში, ეს არის „მათრახის“ სანაგვე გოდრიდან გადმოტანალი მასალა. მე აქვე ვარ მიმალული და შებრუნდება თუ არა სტამბაში, თაგვივით ჩავხტები ყუთში და ვიქექები, ხან ლექსებს ვიპოვნი ხან სცენებს და ხან რას. როცა ბლომათ შევაგროვებ საღამოზე ვაწყობ და ასე გამაქვს თავი. ამ ბოლო ხანს თითქოს ერთი გამვლელი დამხმარე „რედაქტორიც“ კი ვიპოვნე, მაგრამ ეს რამდენიმე დღეა გამექცა და სადღაც გადაიკარგა“.

„ლახტის“ რედაქტორმა მწარედ ამოიკვნესა და ისევ ჩარგო თავი ნაგავში. ამ დროს თავს წამოგვადგა რამდენიმე კაცი. ორი მათგანი ძალზე მთვრალი იყო. ხმა არ ამოუღიათ ისე დასტაცეს ხელი რედაქტორს და ყუთიდან ამოათრიეს. შეხედა თუ არა მათ რედაქტორმა სიხარულით ცეკვა დაიწყო, „თქვენ უთუოდ მასალებს მოიტანდით, სიხარულით წამოიყლორჭინა მან—ეს ჩემი თანამშრომლები არიან, გთხოვთ იცნობდეთ“. მიმითითა ხელი ერთ ტან მოგრეხილ კაცზე, ერთ არაბივით შავზე, ერთ ხარივით თვალ დაშტიმულ თავ გადაპარსულზე და რამოდენიმე ბავშვებზე. ყველას სათითაოდ ხელი ჩამოვართვი და წელში გარჭობილი მათრახი ნელა მოვიმარჯვე. ვიფიქრე ამაზე უკეთეს მოხერხებულ დროს ველარ ვიშოვნი მეთქი. იცოცხლე დავატრიალე მათრახი. ასტყდა საშინელი კივილი. ვიღამაც „სახალხოელთ“ ტელეფონით შეატყობინა ეს ამბავი და უცბათ მთელი რედაქცია თავიანთ ამწყობებითურთ ქორივით თავს დამეცა, მაგრამ ყველანი უკუ ვაქციე. როცა ცემით გული ვიჯერე, „ლახტის“ რედაქტორს ყურებში ხელი ვსტაცე და გავაჩერე: „გიცხადებ, დღეიდან ჩვენ ნაგვის ყუთში ფეხი არ ჩადგა, თქვენი მოუხეშავი ხუმრობა ბაზარზე ნუ გამოგაქვს, თორემ სულ ტყავს გაგაძრობ მეთქი“. მკვდარ-ცოცხა-

ლი რედაქტორი მემუდარებოდა:—ჩემი ბრალი, არ არის ნუ მომკლავ ღვთის გულისთვისო და მეც შემეცოდა ეს საბრალო, „მადლობის ნიშნათ ხელზე მაკოცა და სიტყვა მომცა შემდეგ ჭკუით ვიქნებიო.

**პირველი.** ისე ცხონდა მამაშენი, იგინს შენ ჭკუა ასწავლო, ან გააჩუმო.

**მესამე ეშმაკი.**



ცნობილი პროვოკატორი აზეფი.

# პატარა ფელეტონი

**„მათრახი“-ს რედაქციას წინადადების მოცემის გამო.**

(ჩოხატაურისთვის)

რას ვიზამ! რაკი არ იქმნა,
აღარ მომეშვენ, აღარა,
თან-და-თან მოაქვთ ერიში,
დაჰკრეს ბუკი და ნაღარა
(16-ტი იწვევს 16-სა
32-ტი გამხდარა)...
გაუმართავენ კრებები,
„ალიაქოთი“ ამტყდარა,
ხან „მათრახს“ ემუქრებიან...
ხან მე გამხადეს მასხარა,
დეე მობრძანდენ... (თუმც შიშით
მისკდება გული-მაგარა) ..
ფეხსაც არ გავდგამ უკანა,
არ შერცხვეს ჩემი ქალარა!..
რაც ვსთქვი ექიმზე,—მერწმუნეთ,
—მოკლედ და ძლიერ პატარა,
მარა აქციეს მთა-გორად,
ტუტუცებია... აბა რა?!.
მიტომ რომ თუ კი ექიმმა
„შეურაცხყოფა დაჰფარა
და მოინელა დუმილში..
მორცხულად თავი დახარა,—
განა სიმართლის საბუთად,
მარტოკა ესეც არ კმარა?!.
ანუ იქნება იმ 16-ტ
„აბლაკატებზე“ მეტათა,
(რომლებიც მასთან თუ ვარგა
ნაგავის გასახვეტათა)...
ექიმს არა სთვლით სისწორით
საქმისა გადამწყვეტათა?
და თუ სთვლით—მას დაუჯერეთ,
--სხვებს რა ხელი აქვს ჩემზედა?..
წარმოიდგინეთ რომ ვწერო
იმ „ცოდვის“ საბუთებზედა,
არ დაეტევა, ვფიცავ ღმერთს,
ჟურნალის ყველა გვერდზედა!..
ამიტომ თუ თქვენც აწყრვებთ,
მათაც ექნებათ [illegible]
აუწყეთ ლიხუნჩანგებსა...
(საქმეა მეტად ადვილი)
დანიშნონ მედიატორე,
(რათა მკითხველმან ნამდვილი
გაიგონ)—თორემ ისე-კი...
სავაჭროებში ქადილი,
მერე ძაღლების საკრებათ
(კოსტას დუქანში სადილი,
„არი არალე-თარალე“,
„ოდელას“ შამოძახილი)...
...დასამცირებლად, ვერას დროს,
ვერ გამოდგება ჩემზედა,
ამიტომ ვერც მე ვიხტუნებ
ყველა უსაქმურ ხმებზედა!..

**წაველა.**



შავკანიანთა ჯალათი.

ამ ხანად ბელგიაში სასამართლომ გაარჩია ლეიტენანტ მარტინის საქმე. ამ რამდენიმე წლის წინათ ეს ლეიტენანტი დანიშნული იყო კონგას სახელმწიფოს ოლქის უფროსათ. ამ სახელმწიფოში განსაკუთრებით არაბები სცხოვრობენ. როგორი წესები სუფევდა აქ და როგორ ექცეოდნენ არაბებს იქ დანიშნული ევროპიელები, ამას ნათლად მოწმობს ლეიტენანტის მოქმედება. ის ტყუილ უბრალოთ, უმიზეზოთ ისე ხოცავდა ხალხს ქუჩაში როგორც ქათმებს. შეიარაღებულ ლეიტენანტს ვინც უნდა შეხვედროდა ქუჩაში სულ ერთი იყო, ოღონდ არაბი კი ყოფილიყო ხელად იძრობდა რევოლვერს და იქვე გააგორებდა ქათამივით.

როგორც აქ დახატულ სურათიდან სჩანს ჯალათი ლეიტენანტი ქუჩაში შეხვედრია რამდენიმე არაბს და ხოცავს. აქ დღეს დაუხოცია თექვსმეტი კაცი. საზოგადოება ამ ამბავმა ძლიერ ააშფოთა. დაინიშნა გამოძიება, რომელმაც გამოარკვია, რომ ჯალათ ლეიტენანტს ორმოცდა ათ კაცზე მეტი მოუკლავს სულ ცოტა ხანში. ის გაასამართლეს და თორმეტი წლის კატორღა მიუსაჯეს



# ჩემი სიმღერა.

(უძ. ირეთელს).

მეც მსურს ვიყო უდარდელი, თავისუფალი,
ვკისკისობდე, შევხაროდე მწვანე მთაველებს,
მაგრამ ბედშავს დამშრობია ხალისის წყალი
და გენრას—თვალით ნაკადი ველარ მინელებს.
სიხარული, სიყვარული, სიმშვიდე სულის
ცხოვრებისა ნიაღვარმა თვის ქაფს გარია,
ბრძოლას მიმცა და ბრძოლამ კი სიმტკიცე სულის
მიანდერძა და წყლულ გულსაც ეს უხარია.
მიმაქანებს შურის გრძნობა მტრის სიმაგრისკენ
ვივლი მუდამ მაძებარი ბრწყინვალე ბედის,
მაშ მომყევით ჩაგრულებო დიად მიზნისკენ,
წინ მიგვიძღვის სიმართლე და სხივი იმედის.

**შხანკოლა.**



# მესტვირული

(პიათურისათვის).

ჩემი ქირის მოზიარე
გამოვნახე ჩემი სტვირი,
რომ ზოგიერთ ვაჟბატონებს
დაუწიო დაბლა ცხვირი.
ყველაზე წინ ბურჯანაძეს
ვეახლები ქამნჩითა,
საუზმე რომ მოინელოს
ვუღიღინებ ნელი ხმითა:
„ჯერ ადრეა ისაუზმე
ბევრი ღვინო სვიო,
და ქონიან დიდ მუცელზე
ხელი გადისვიო.
საქმისთვის თუ მიგელიან
ვინმე მუშებიო,
ჯერ გალანძღე მერე მაგრათ
მისცხე მუშტებიო.
კანტორაში ძველებურად
გვიან მიბრძანდიო,
ვინც ქანქარი არ მოგართვას
უთხარ—გაბრძანდიო.
თხოვნა თავზე დაახიე
არ შედრკეს გულიო,
საქმე იმას გაუკეთე
ვინც მოგცეს ფულიო“.
ამ კვირაში ესეც გეყოს,
მეტსა აღარ შეგაწუხებ
და თქვენ მარად დანაკლისსა
თქვენსა ტეხნიკს შეუკურთხებ...
ჩავუარე დუქნის კარებს
ერაძესთან ქეიფობდა,
ლამაზ სტოლთან აქეთ-იქით
აფსონები მოსხდომოდა.
გვერდით ეჯდა ყვაჯაყმაძე,
პირდაპირ კი ვარლამია,
სამიკიტნოს კარებიდან
მიუძღვენი სალამია.
და ვუთხარი: ვარლამ ჩემო
ნუ თუ აღარ გასწორდები?
თუ ამ ყაიდაზე დარჩი
ძლიერ მალე აშმორდები.
ხუთ კაცს თითო სტარში მიე
რომ განაგონ საქმე ბრძნულად
რამდენ ჩაქუჩს დაარტყამენ
ჩაგაბარონ ყველა სრულად.
(კვირა იყოს გინდ საქმის დღე
სულ არიან ფაცი-ფუცში
შესახედათ სულ უქირავთ
„რულეტკა“ და „კნიშკა“ ხელში)
სანამ გექნენ ეგ „სიგზლი“
უნაკლულოთ ყველამ თოლეთ
როს ქანქარი დაელიოს
თავის დაკვრით გაეცალეთ.
მაშ რაჭველო გადაჰკარი
შავი ღვინო ჯანიერი,
თანაც მედგრათ შემოსძახეთ
გრძელი მრავალ-ჟამიერი...
ამის შემდეგ კი გვიფრთხილდი
ნუ აბზუებ განზე ცხვირსა,
თორემ გლახათ წავა საქმე
გეფიცები ამ ჩემ სტვირსა.

**საშხამავი.**

# ხმა დაბა-სოფლებიდან

**ქუთაისი.**

„იამ“ გასძახა სილოვანს
გამხნევდი გენაცვალეო,
გეყოფა რაიც იშრომე
აწი მე დამაცალეო.
შენი ქალარას ქირიმე
მამულის სიამაყეო,
ქართველი ერის იმედო
აწ დაჯექ წყალი ნაყეო.
რასაც ნატრობდი აღსრულდა
ბლომად გყავს დღეს ლაშქარიო,
შენსა მკლავზედა გაზრდილი
სახელოვანი ჯარიო.
მე და გუცაი აქა ვართ
ურა და ულმობელიო,
დასელთა თამაშს გაჩვენებთ
თუ რომ გავილეთ ხელიო.
რენეგატებიც ბევრი გვყავს
თედო და ევდოშვილიო,
ეკალაძე და სხვაც ბევრი
სახელოვანი შვილიო.
შინაურ მტრებსა მუსრს ვავლებთ
ლექცია აუკრძალეთო,
შენი შეგირდთა ლაშქარი
ყველაი მოვიყვანეთო.
მოვიდნენ ბოლოკებითა
სამშობლოს მხსნელი გმირები,
შენი შრომით და ღვაწლითა
გაწვრთნილნი, გამოზრდილები.
ჩვენო ერისა დიდებავ
დასტკბი და გაიხარეო,
კმარა რაც დასელებიდან
სიცოცხლე გაიმწარეო.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლოს ბედი უღიმის
ერს მოევლინა მხსნელები,
ჩვენი დროშის ქვეშ თავს იყრის
დასელთ ურიცხვი მტერები.
მაშ გაიხარე მოხუცო
მომავლის ლხენა-შვებითო,
თუ მტერი შემოგვესია
მზათა ვართ ბოლოკებითო.

**რიჟა**

—

**ს. ჯუმათი.** 15 ივნისს აქ გაიხსნა წვრილი საკრედიტო დაწესებულება; საბჭოს წევრად დიდის მაცადინეობით არჩეულ იქმნა გლეხი აზნაური დიმიტრი, რომელიც დროს შესაფერად ხან დემოკრატობს, ხან ფედერალისტობს და ხან მონარხისტობს. მის ამრჩევლებს გაეხსნება დიდი კრედიტი.

— ჯუმათ-ძიმით გურიანთის სოფლებს მოევლინათ ახალი ქადაგი „ვიკტორი“ კნეინა ნინოსაგან უხუცესთ მოლარე — მოურავთა-მოურავი, რომლის საშვალებით კნეინას ადგილი ერთი ორად უნდა იქცეს და მოსავალი ერთი სამად მოიტანოს. ზომავს და ზომავს მიწებს პეტრეს თან ხლებით, მარა პავლეს ტყავს აძრობს. თუ ღმერთმა „ვიკტორი“ აცოცხლა კნეინასაც შემოსავალი გაუფართოვდება და გლეხებიც დამშეულ მუცელს გაიძღებენ.

— ალექსი ნაურმეველი დადის მემამულესთან გუნდრუკ — ხაჭაპურებით და ემუდარება: „ჩემს ძმას სიმონიკას ყანა წაართვი და მუდამ შენი მოსამსახურე ვიქნებიო“. ალექსი მოითხოვს კოწია რ— ძისგან გერმანეს პირი შეუშალე, მიყიდული ადგილი მე გადმომეცი, ფული უკან დაუბრუნე და მე ორ წილ ფულს მოგცემო. მათრახის კუდი ამათ ზურგის ასაწველად.

**ისკრა.**

—

**ს. ლესა.** (გურია) „ცუდ ვარსკვლავზე არის გაჩენილიო“ რომ იტყვიან სწორედ ჩვენ სოფელზეა ნათქვამი. ყველაფერი სისაძაგლე აქ ხდება. ქეიფობა, კარტ-ნარდის თამაში, ლოთობა, მარჩიელობა და სხვა ასეთები. თუ ღმერთი გაგიწყრა და გაზეთში რამე დასწერე ვაი შენი ბრალი, ყველა მზათაა პლატონივ რუსეთში ნამყოფის მეთაურობით ჯვარს გაცვან .. გაფაფიცებით ეძებენ კორესპოდენტს ცნობილ მამასახლისის მახარობელ კვაჭაძის თაოსნობით, ეს საბრალო არაფერს ზოგავს ოღონდ დამწერი ნახოს თორემ სიმართლე არაფრად ეპიტნავება... ხალხი შეცდა მახარობელის არჩევაში, მარა, დანაშაულს ადრე გაასწორებენ, რადგან ხელ-ახალი არჩევნები კარზეა მომდგარ...

თავმოგლეჯილი დაეძებენ: “ნაურიალ ელს“ და „მეზობელს“, მიზეზი? თურმე ნუ იტყვით, ამ პატივცემულ კორესპოდენტებს უმხელია ზოგიერთი არამზადების საქციელი...

თუმცა ასეთი მდგომარეობაა ჩვენში, მაგრამ არ შემიძლია გაჩუმება, არ შემიძლია ორიოდე სიტყვით არ აღვნიშნო ბ-ნ კოლია სარჯველაძის მოღვაწეობა. ამ ტარიელ მკლავაძეს მთელი სოფელი აკლებული აქვს. კარტ-ნარდის თამაში ხომ მისი მოგონილია, მაგრამ ეგ არაფერი. ამ ბოლო დროს მუშტების ქნევა დაიწყო. ამას წინად მან სცემა ერთ ყოვლად უმწიკვლო ადამიანს. დიახ, ტარიელ მკლავაძის მაგალითით გაქღენთილმა კოლიამ ჩაიდინა ეს სისაძაგლე!..

ეხლა ვიცი ამ წერილისათვის ძებნას დამიწყებენ მაგრამ ღმერთი რჯული, რომ ჩემს გვარს ვერ მიაგნებთ, რადგან მე დევნილი ვარ და თქვენ კი შინაურებზე ხართ კაი ყაძახები... მაშ მშვიდობით, დანარჩენები შემდეგისათვის იყოს...

**ეფრემ დევნილი.**

—

**სად ჯუმათი.** ტყუილია ის ხმები თითქო ანანი მამასახლის და სტრაჟნიკს ლადიმესთვის მათრახი დაერტყას. ისიც ტყუილია, თითქო ლადიმესთვის ხელწერილი ჩამოერთმიოსთ არ გვიჩივლოთო.

**ს. ხაჯალია.** სტეფანემ უთხრა ივანეს:
რა დაგმართია ძმია,
იფიცე, საქმე წააგე,
ხომ არ იყავი ხამია[illegible]
„მაინდობაში“ ნაქები, -
პირველო ხაჯალიაზე
გულს ნუ გაიტეხ, ეცადე,
გამაგრდი მტრების ჯინაზე!
ივანემ უთხრა: შენ კოქლავ,
„ყბას ნუღარ მიქცევ“ გაჩუმდი!
ამას ვერ გამიბედავდენ,
მარა შემატყვეს — დავბერდი.
ბევრი ვეცადე, მოწმობაც
ჩავხატე - ჩავაბულბულე.
ერმინეს ენა დაუბი,
ალსანდრას სიტყვა უსრულე.
მე პირველად შევუსრულე,
რაცა მქონდა დავალება,
მარა „ძალათ ყაძახობა“
ნათქვამია — არ იქნება!
სტეფანემ უთხრა ნუ მლანძღავ
ორნი კოქლი ვართ — ცხადია.
დიდი ხმის ნაცად საქმეში —
ერთი მეორეს ფარდია.
შენ გაგიწბილდა „ოინი“,
მარა რა ჩემი ბრალია,
„მაინდობა“ არ მემართა,
არც მქონდა შენი ვალია.
ამ ბოლო დროს მე მაჯობე,
თუ არ გჯერა - სიმონს კითხე:
ხუთი თუმნის განაჩენი
ლანჩხუთს სუდში მოიკიახე
სიმონს გროშიც არ ემართა,
უჩივლე და დავაკისრე,
„ძმა ბიჭების“ შეწევნობით
დავადევი ტყვილათ ისე.
იმედს ნუ კარგავ ივან-ჯან,
ბევრი გვყავს ახალ-გაზდები,
ჩვენ თუ „წაგვიხთა მაზანდა“,
გვრჩებიან შვილნი მარდები.
ლავრენტი ბიჭი, სამუელ,
სხვაც ბევრი „ბედაურები“,
ბევრჯერ ნაცადი საქმეში,
ჩვენგანვე განსწავლულები.

**სიკინჭილაძე.**

—

**ს. ერკითი.** აქ ხმები გავრცელდა, ვითომც ჩვენი მამასახლისი ს. საყვავის-ტყეს და ნალევის ღელეს გარდა სხვაგან გზის გაკეთების მომხრე არ იყოს, ეს სიცრუეს მოკლებულია, ის კი არა ბიხმაროის გზის გასაერთიანებლად, სადაც აკლია გაკეთება,

თავისი ჭიათურიდან გამოყოლილი ფული (აბა სოფელში ვინ მისცემს ამდენს) აძლია მოიჯარადრებსე 999 მან. და 99 კაპ. მაგრამ მოიჯარადრეებმა 100 მ. ნაკლებ არ აიღეს.

ღვინის სავაჭრო დუქნებით წელს ერთობ მდიდარი ვართ, ს. ხევში რადგან სვირიდან ღვინის მოტანა სიშორის გამო ერთობ ძვირი ჯდება აქ ხშირად მდ. გუბაზოულის წყალს ურევენ ღვინოში და ისე ჰყიდიან. ასეთი ღვინო სარგებლიანიც არის და ადვილი მოსანელებელი.

ნ. ხ.

—

**ს. ქვემო მაჩხაანი.** (კიზიყი) ს. ქ. მაჩხაანს ესტუმრა ანტრეპრენიორი ი. გ. დაროშვილი თავის "ტრუპით", სადაც გამართავს შემდეგ წარმოდგენებს: ჰამლეტს, ოტელოს, ფაუსტს, მეფე ლირს და სხვ... რომელიც გაიმართება უჭერო და კედლებ ჩამონგრეულ თეატრში.

—აქ ჩამოვიდა „ლახტი"-ს თანამშრომელი, ბ-ნი სოსო. საზოგადოება პურ-მარილით მიეგება, ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა, შევერცხლილი ტიკჭორა მიართვეს. წარწერით „ჩვენ დაულალავ მუშაკს".

—10 თიბათვეს სოფ. ქ.-მაჩხაანის სომხებს კრება ჰქონდათ რომელზედაც შეიმუშავეს ზომები ბ ნ ტყავაძის საწინააღმდეგოთ.

—აქაურ სამკურნალოში ორ გირვანქა მწვანე ლობიოზე აძლევენ ყველა ნაირ წამალს. მსურველს შეუძლიანთ ჩაეწერონ კოლიასთან, დილის 4 საათზე, რადგან ამ დროს ექიმი და ბებია არ არის.

—აქ მამასახლისათ ამოირჩიეს „მიკიტანი „გოგია", რომელიც ჭამის დროს კბილით თეფშებს ჰკვნეტავს. საზოგადოებამ იგი დააჯილდოვა ძირ გახეული ტიკჭორით.

გოდა.

## სცენის-მოყვარენი

(იხ. „მათრახი" № 23.)

V

**იგინივე და დიმიტრი.**

**დიმიტრი.** გამარჯობათ თქვენი, გამარჯობათ.

**ყველანი.** გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს.

**ვასილი.** ოჰ, კარგ დროს მოხველ, ჩემო დიმიტრი, ეს იყო როლების განაწილებასა ვკითხულობდი.

**კოლია.** ძალიან დროს მოხველ დიმიტრი, მოდი ერთი ვიმღეროთ რამე

**ვასილი.** კაცო, რა დროს სიმღერაა! საქმეს შეუდგეთ.

**ყველანი.** თუ გიყვარდე ვასილ, სანამ სუფლიორი მოვა ცოტა წავიღიღინოთ. (ყველანი ესევიან გარს ვასილს და ატრიალებენ) თუ გიყვარდე ვასილ, თუ გიყვარდე მოგვეხმარე შენც.

**ვასილი.** კარგით, დაგწყევლოთ ღმერთმა, ნუ დამამტვრიეთ. რას იზამ უნდა დაგემორჩილოთ.

**კოლია.** (ყველანი შეჯგუფებულნი არიან, იასონი სავარძელში ზის და სთვლემს) აბა, დიმიტრი, ტონი მოგვეცი, ტონი.

**დიმიტრი.** რა ვიმღეროთ, რომ არ ვიცი.

**მაშიკო.** ჩემო დიმიტრი, ორთავ თვალის სინათლე იმღერეთ.

**ყველანი.** კარგი, იყოს ორთავ თვალის სინათლე.

**კოლია.** (დიმიტრის) Смотри высоко не начинай (დიმიტრი აძლევს ტონს, კოლია იწყებს პირველს და დანარჩენებიც აჰყვებიან. მღერიან ორთავ თვალის სინათლეს).

**ვასილი.** (ერთი კუპლეტი რომ გათავდება) კარგით ბატონო, გვეყოფა.

**ყველანი.** სხვა რამე, სხვა რამე.

**ვასილი.** Довольно, господа!

**მაშიკო.** Нѣтъ еще разъ ვასილ თუ გიყვარდე საცეკვაო.

**იასონი** (გამოიღვიძებს) Да საცეკვაო. შენ ნუ მომიკვდე კაია.

**დიმიტრი.** დავიწყოთ, მაგრამ კოლიამ უნდა იცეკვოს უსათუოდ.

**კოლია.** კი, ბატონო. (დიმიტრი ხასთვლემს) ნათლი დედამ დამპატიჟა, გამიკეთა ხავიწიო, კოჭლი გოგო ათამაშა იმის ცოდვით დავიწვიო და სხვა. (კოლია ცეკვავს და ცდილობს მაშიკოს თავი მოაწონოს, მაგრამ თხილის ნაჭუჭებზე გაუსხლტება ფეხი და წაიქ-(ცევა, ყველა იცინიან).

**მაშიკო.** ხა! ხა! ხა! Какой ты смѣшной Коля.

**იასონი.** (იცინის) [illegible], კოლია сегодня не везеть тебя.

**ვასილი.** დაწყნარდით, ბატონებო, როლების განაწილება მოისმინეთ.

**ყველანი.** წაიკითხე, წაიკითხე.

**კოლია.** (დარცხვენით) რადა როლები გვერდები ჩავიმტვრიე. (გაჯავრდება) Это все Вахтангъ подстроилъ нарочно.

**ვახტანგი.** Ничего подобнаго, врешь ты!

**კოლია.** (გავარდება) А кто подбросилъ орѣхи?

**ვახტანგი.** Не кричи, мартышка.

**კოლია.** (ძალიან გაჯავრებული) Повтори, повтори что ты сказалъ! (იწევა დიმიტრი არ უშვებს) Я тебѣ задамъ, далеко не уидешь!

**იასონი.** (იცინის) ხა! ხა! რა ვაჟკაცი ტრაბახობს, სულ შვიდი მისხალი არ გამოვა წონაში.

**დიმიტრი.** კარგით ბატონებო, კარგით, საქმე დავიწყოთ. რაც იყო, იყო. რა დროს ჩხუბია! (ვასილს) აბა, ვასილ როლები დაარიგე.

**ვასილი.** (კითხულობს) აბა, ყური დაუგდეთ: დათიკო მასწავლებელი — ვახტანგი. ტასო ამისი ცოლი — მაშიკო.

**იასონი.** ცოლი, ნიპრიწ, ვერ მოგართვი პატრიკანი.

**ვასილი.** ნუ მიშლი, კაცო.

**დიმიტრი**, წაიკითხე, წაიკითხე.

**ვასილი.** ბუღდანი — დიმიტრი. ბრიქურა ვაჭარი—მე, ბატონებო. პრისტავი—იასონი. გადამწერავი—კოლია.

**კოლია.** მე არ ვთამაშობ.

**დიმიტრი.** რატომ?

**ვასილი** რა მიზეზია?

**კოლია.** ისე, ავათა ვარ.

**დიმიტრი.** თუ ავათ იყავ, რაღას მოხვიდოდი!

**იასონი.** რას ითამაშებს პატარა როლს ექვსი ბარიშნა ჰყავს დაპატიჟებული.

**მაშიკო.** ითამაშე კოლია, თუ კაცი ხარ.

I-88/2
1919



**კოლია.** არ შემიძლიან, ბატონო, კბილი მტკივა.

**დიმიტრი.** თუ კბილი გტკიოდა, თხილს ძალიან აკნატუნებდი წეღან ბაზარში! ბარემ ისა სთქვა, რომ არ გინდა თამაში.

**კოლია.** Однимъ словомъ я не играю. (გაჯავრებული სწრაფად გავარდება.)

(შემდეგი იქნება)

**გოგია.**

## წერილები რედაქციას.

ამხანაგო რედაქტორო! *)

თქვენი პატივცემულ ჟურნალის კვირანდელ ნომერში ვინმე უკაცრავარ პასუხია „პოეტი“ კურიოზებში მეხება და ყველა არა საკადრის სიტყვებთან სხვათა შორის ჩემზედ და ჩემს ძმაზედ „ბრძანებს“ — „ამოვარდა მათი გვარი“-ო.

მისი ასეთი სიტყვები, რასაკვირველია, იმდენად საწყენი არ არის რამდენადაც სატკენია, რადგანაც ეს ტლინკს უფრო ჰგავს, ვიდრე დამშვიდებულ მსჯელობას.

ეს რომ „ლახტს“ დაეწერა ეპატიებოდა, იმას თავისი წრე და მკითხველი ჰყავს, მაგრამ „მათრახს“ კი არ ეპატიება, აი რათა: რა ვსთქვი ისეთი სასცენო მოღვაწეთა ყრილობაზედ, რომ „პოეტს“ მუზა აეშალა და შემამკო? აი რა: — „სათეატრო სეზონი „სამშობლო“-ით იწყება და თავდება, მისთვის რომ ის მითომ ისტორიულია და საპატივსაცემო; შემცდარი აზრია, იმან თვისი დრო დიდი ხანია მოჭამა, ის ეხლა ან სულ აღარ უნდა იდგმებოდეს, ან ძირფესვიანათ უნდა გადაკეთდეს, მისთვის, რომ ასეთი პიესების დადგმა ორ მეზობელ — ქართველებსა და თათრებს შუა შუღლს იწვევს, ჩვენ კი სოლიდარობა გვინდა და საჭიროა. ასევე შევეხე იმ პიესებს სადაც ვაჭარი უსათუოდ სომეხია გამოყვანილი, თითქოს ქართველი ვაჭარი ისეთივე მყვლეფავი არ იყოს როგორც სომხის ვაჭარი მეთქი. არც ასეთი პიესები გვინდა მეთქი და სხვა“.

აბა მიბრძანეთ რა არის აქ სასაცილო და სამასხარო?!

ვსწუხვართ, რომ ასეთ საანბანო ჭეშმარიტებაზედ თავის მართლებაც კი გვიხდება.

უბედურებაა და უარესიც როცა მტერს მოყვრიდან ველარ ვარჩევთ, და ხშირად ვლანძღავთ მას ვისაც სალანძღავი არა გაუკეთებია. ამაზედ მეტი უმადურობა შეიძლება. თქვენ ეს კარგად უნდა იცოდეთ და ამისათვის ტლინკიან „პოეტებს“ ცოტა საბელი უნდა ამოსდოთ ხოლმე.

პატივის ცემით **გიგო თოიძე.**

*) ვბეჭდავთ ამ წერილს უცვლელად, და თან მოვახსენებთ პატივცემულ გიგო თოიძეს, რომ ჩვენ შევეკითხეთ იმ „უკაცრავად პასუხია პოეტს“, რომლის პოეტური „ნახეთქი“ ასე სწყენია ბ-ნ გიგო თოიძეს. რა მოსაზრებით შეურაცხყო მან ბ-ნი თოიძე.

„უკაცრავათ პასუხია პოეტმა“ ასეთი პასუხი მოგვცა: „ძმებმა მოსე და გრიგორი თოიძეებმა სასცენო მოღვაწეთა ყრილობაზე ფრიად კარგი აზრები წარმოსთქვეს, მაგრამ ამ მშვენიერ აზრებს მეტად გაჭიანურებულ სიტყვებით აებობდენ და ეს მაყურებელთა შორის ხველასა, მთქნარებას და გასვლა-გამოსვლას იწვევდა და ხმაურობის გამო ბევრს არც კი გაუგია. მხოლოდ ამ მხრით შევეხე ბ-ნ თოიძეებს, თორემ მათი აზრებისა და მიმართულების შესახებ კარგის მეტს ვერას ვატყვი“-ო. ვფიქრობთ ეს განმარტება დააკმაყოფილებს პატივცემულ გიგო თოიძეს. ჩვენ მაინც ჩვენი მხრით პირველი გაფრთხილება გამოუცხადეთ „პოეტს„, რომ უკეთუ კიდევ შეეხო ვინმე ჩვენ საზოგადო მოღვაწეს იძულებული ვიქნებით ის „ლახტში“ გავგზავნოთ ორი თვით სამუშაოთ.

„მათრახი“-ს რედაქცია.

## II

ბ. რედაქტორო! თქვენი ჟურნალის მე-19 №-ში მოთავსებულია ლექსი „უძღვნი წელკავს“. ავტორს განუზრახავს შეურაცხყოფის მოყენება ჩემთვის მით, რომ მის შეთხზულ ლექსზედ აწერს ჩემს სახელს და გვარს. საკვირლად მიმაჩნია რათ დასჭირდა ნიჭიერ მგოსანს თავის შეწუხება და ჩემს მაგივრათ თავის თავისთვინ საპასუხო ლექსის დასტამბვა. პირადათ მე არც კი განმიზრახავს იმ ვაჟბატონისთვის პასუხის გაცემა, რადგან მას ამის ღირსად არ ვთლიდი. რადგანაც რედაქცია შეცდომაში შესულა, ავტორის წყალობით და სიყალბით ჩემი სახელი და გვარი (ს. ქადიეშვილი) მოუწერია სხვის ლექსზედ. ამიტომ საჭიროა პასუხს მოვითხოვ. უკიდურეს შემთხვევაში მე იძულებული ვიქნები მივმართო სამჯავროს და მით აღვადგინო ჩემი სიმართლე.

ს. ქადიეშვილი.

მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ პირადათ ჩვენ ვერ ვიცნობთ ს. ქადიეშვილს და მის „პოჩერკ“-ს, შესაძლებელია ესეც სხვას მოეწეროს (და არა ნამდვილ ს. ქადიეშვილს). მაგრამ რედაქცია მოვალეა (მიუხედავათ ავტორის უცნობობისა) ასეთ საპასუხო წერილებს ადგილი დაუთმოს. ჩვენ ვსთხოვთ პატივცემულ ს. ქადიეშვილს, დაგვისახელოს ექსპერტებათ ოზურგეთში ვინმე ცნობილი პირები და ჩვენ მას ხელს შეუწყობთ ყალბი ავტორის აღმოსაჩენათ და გაუგზავნით ორივე ხელნაწერებს. თუ ვინმეს აღმოვაჩენთ — მხოლოდ მაშინ შეგვიძლია მისი გასამართლება სამსჯავროს წინაშე და გამათრახებაც.

„მათრახი“-ს რედაქცია.

## III

ბ. რედაქტორო! ჟურნალ „მათრახი“-ს № 22-ში, ბ. „მეზობელის“ მიერ ს. ჩიბაბათიდან მოთავსებულია კორესპოდენტია, რომელშიაც ხსენებული კორესპოდენცი სხვათა შორის ეხება ჩემს პიროვნებას და სწერს, ვითომც მე შეკავშირებული ვიყო მახარბელ ქვაჭაძესთან სოფლის „წინააღმდეგ და მასთან ერთად ტყავს ვაძრობდე მცხოვრებლებს სხვა და სხვა ქრთამების სახით.

ბ. „მეზობელს“ არავითარი საბუთი არ აქვს ჩემს წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებაზე და მისი ნაწერი აგებულია პირად შურზე და მტრობაზე, ამისათვის ვიწვევ ბ. „მეზობელს“ სამედიატორო სასამართლოში და მოვითხოვ დამიმტკიცოს ჩემზე წამოყენებული ბრალდებები. ჩემის მხრით მედიატორებათ ვასახელებ ნოე სულაბერიძეს და მღ. ბარნაბე ჯორბენაძეს. იმანაც დაასახელოს თავისი მედიატორენი ამ წერილის დასტამბვიდან ერთი კვირის ვადაში. მედიატორული განაჩენი უნდა იქნას გამოქვეყნებული ქართულ გაზეთებში. წინააღმდეგ შემთხვევაში მე უფლება მაქვს უწოდო მას შესაფერი სახელი.

ერმალო ჩახვაძე.

